საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 10 მაისი, 2023 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/39

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის კინო-ტელე რეჟისურის ოსტატობის სახელოსნოსათვის (აუდიტორია N 210) ზაზა ხალვაშის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლისა და სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის საბჭოს 2023 წლის 05 მაისის №18 საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის კინო-ტელე რეჟისურის ოსტატობის სახელოსნოს (აუდიტორია N 210) მიენიჭოს ქართველი კინორეჟისორის და კინო-ტელე რეჟისურის მიმართულებით ბხსუ-ს პროფესორის ზაზა ხალვაშის სახელი.

2. დაევალოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას აუდიტორიის მოწყობისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. დადგენილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **თ. კეჟერაძე**